



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030455049535217

04-293/ო

08 / მაისი / 2017 წ.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის საქალაქო განყოფილების უფროსის კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის შეფასების ღონისძიებების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულებით“ (შემდგომში – დებულება) განსაზღვრული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) საერთო ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც კანონმდებლობის და მისგან გამომდინარე, სააგენტოს შიდა რეგულაციების ხშირი ცვლილებების ფონზე, იმავდროულად მოიცავს სააგენტოს სტრუქტურაში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის მუდმივ კონტროლსა და შეფასებას, ამავე დებულების მე-4 მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის და 58-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე და სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 2 დეკემბრის N04-438/ო ბრძანებით დამტკიცებული „სააგენტოს რაიონული (საქალაქო) განყოფილებების უფროსების, ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის და მისი მოადგილის კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის შეფასების წესის“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. 2017 წლის მაისის თვეში განხორციელდეს სააგენტოს ფოთის საქალაქო განყოფილების უფროსის კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის შეფასების პროცედურები.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურები წარიმართოს სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 2 დეკემბრის 04-438/ო ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.
3. დაევალოს სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 28 მარტის N04-128/ო ბრძანების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას, უზრუნველყოს ტესტების ფორმირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.
4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), სააგენტოში მოქმედი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ამ ბრძანების დაგზავნა სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 28 მარტის N04-128/ო ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო და სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 14 მაისის N04-140/ო ბრძანების საფუძველზე შექმნილი საპრეტენზიო კომისიებისათვის, აგრეთვე სააგენტოს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრისა და ფოთის საქალაქო განყოფილებისათვის.

5. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების საჯაროობა, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) გამოქვეყნების გზით.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე